საზოგადოებრივი მაუწყებლისა და IFES-ის მიერ ორგანიზებული წინასაარჩევნო ტელედებატების მეთოდოლოგია და წესები

დებატების წინასაორგანიზაციო გეგმა

1. დებატების დაწყებამდე ერთი ან ორი დღით ადრე მონაწილეები გაეცნობიან შეკითხვებს;
2. ტელედებატების წინა დღეს მონაწილე სუბიექტებს შორის წილისყრა იმართება დასმულ შეკითხვებზე პასუხების რიგითობის დასადგენად;
3. წილისყრის შემდეგ დებატებში მონაწილე სუბიექტები ან მათი ნდობით აღჭურვილი პირები საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში ეცნობიან დებატების სტუდიას და მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამუშაო ოთახებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები მათ კიდევ ერთხელ აუხსნიან დებატების ჩატარების წესებსა და ფორმატს;
4. დებატების დაწყებამდე 2 საათით ადრე დებატების მონაწილეები და მათი თანმხლები პირები (არა უმეტეს 3 ადამიანისა) იკავებენ მათთვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებს;
5. სურვილის შემთხვევაში, მაუწყებლის ვიზაჟისტები მონაწილეებს ოთახებში საეთეროდ მოამზადებენ;
6. გადაცემის დაწყებამდე არა უგვიანეს 15 წუთისა, დებატების მონაწილეები შედიან სტუდიაში და იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს;
7. დებატებში მონაწილეთა თანმხლები პირები რჩებიან სამუშაო ოთახებში და დებატებს თვალყურს ადგილიდან ადევნებენ.

დებატების მიმდინარეობის გეგმა

1. დებატები შედგება მონაწილეთა მისასალმებელი სიტყვის, შეკითხვებზე პასუხის გაცემის, ოპონენტების პასუხების კომენტირებისა და მონაწილეების დასკვნითი, შემაჯამებელი მიმართვისაგან;
2. თითოეული მონაწილის შესავალი სიტყვის, პასუხებისა და დასკვნითი გამოსვლების რიგითობაც წილისყრის შედეგად განისაზღვრება;
3. მისასალმებელ სიტყვას პირველად წარმოთქვამს წილისყრით პირველი ნომერი, შემდეგ მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები;
4. მისასალმებელი სიტყვისათვის მონაწილეებს აქვთ 2 წუთი;
5. ამის შემდეგ იწყება შეკითხვების დასმა. სულ დაისმება 4 კითხვა. ყოველ მონაწილეს ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხის გასაცემად 3 წუთი აქვს;
6. პირველ შეკითხვას პასუხობს წილისყრით მეორე ნომერი, შემდეგ მესამე, მეოთხე და პირველი ნომრები;
7. პასუხის შემდეგ კანდიდატებს ექნებათ დამატებითი 1 წუთი კომენტარებისათვის. კომენტირების რიგითობა იმეორებს კითხვაზე პასუხების გაცემის რიგითობას;
8. მეორე შეკითხვას პასუხობს წილისყრით მესამე ნომერი, შემდეგ მეოთხე, პირველი და მეორე ნომრები;
9. პასუხის შემდეგ, კანდიდატებს ექნებათ დამატებითი 1 წუთი კომენტარებისათვის. კომენტირების რიგითობა იმეორებს კითხვაზე პასუხების გაცემის რიგითობას;

10. მესამე შეკითხვას პასუხობს წილისყრით მეოთხე ნომერი, შემდეგ პირველი, მეორე და მესამე ნომრები;
11. პასუხის შემდეგ, კანდიდატებს ექნებათ დამატებითი 1 წუთი კომენტარებისათვის. კომენტირების რიგითობა იმეორებს კითხვაზე პასუხების გაცემის რიგითობას;
12. მეოთხე შეკითხვას პასუხობს წილისყრით პირველი ნომერი, შემდეგ მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები;
13. პასუხის შემდეგ, კანდიდატებს ექნებათ დამატებითი 1 წუთი კომენტარებისათვის. კომენტირების რიგითობა იმეორებს კითხვაზე პასუხების გაცემის რიგითობას;
14. ამის შემდეგ კანდიდატებს ეძლევათ კიდევ 3 წუთი დასკვნითი - შემაჯამებელი სიტყვისათვის. დასკვნით სიტყვას პირველად წარმოთქვამს წილისყრით პირველი ნომერი, შემდეგ მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები;
15. დროის ათვლა მოხდება ტაიმერზე, რომელიც მონაწილეებს მიანიშნებს, რომ პასუხისათვის დროის ამოწურვამდე 10 წამი რჩება. 3 წუთის გასვლის შემდეგ გაიჟღერებს დასრულების სიგნალი და მოპასუხეს მიკროფონი გაეთიშება. კითხვაზე საპასუხოდ შემდეგი კანდიდატის მოწვევა ხდება;
16. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კანდიდატმა მოპასუხეს შეაწყვეტინა, მას მოაკლდება დაკარგული დრო და ეს დრო დაემატება მოპასუხეს.

დებატებისათვის კითხვების შერჩევა

დებატებისათვის კითხვების შერჩევა მოხდება ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგად მოსახლეობის მიერ ყველაზე აქტუალურად გამოვლენილი თემატიკისა და მედიის წარმომადგენელთა მიერ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე debatebi@gpb.ge გამოგზავნილი შეკითხვების საფუძველზე.